ელექტროენერგიის ტარიფები საქართველოში – არსებული რეალობა და პრობლემები

ნოდარ ცანავა
სტუ-ს პროფესორი
E-mail: nodaritsanava@gmail.com
ჯუსტან ბოკუჩავა
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ელექტროენერგიის ტარიფები საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომელზედაც დიდად არის დამოკიდებული, როგორც მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, ასევე, მთლიანად ქვეყნის დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ დღეისათვის საქართველოში მოქმედი დენის მაღალი ტარიფები, ნაკლებად უწყობს ხელს ამ მიზნების შესრულებას. სტატიაში გაანალიზებულია მიზეზები, რომლებიც განაპირობებს საქართველოს ელექტოენერგიის ბაზარზე არსებულ-დღევანდელარასახარბიელო სიტუაციას, კერძოდ სადისტრიბუციო კომპანიების მონოპოლიური მდგომარეობას, და შემოთავაზებულია კონკრეტული ღონისძიებები ელექტროენერგიის კონკურენტული ბაზრის ფორმირებისა და შესაბამისად ოპტიმალური სატარიფო პოლიტიკის შემუშავებისა და გატარებისათვის.

საკვანძო სიტყვები

სადისტრიბუციო თანხა, ელექტროგენერაციის ხარჯები, სამომხმარებლო ზღვრული ტარიფები, მონოპოლიური ელექტროენერგეტიკული ბაზარი, კონცენტრაციის კოეფიციენტი, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი, დეკონცენტრაცია.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში ელექტროენერგიის მაღალ ტარიფებს ძირითადად განაპირობებს სადისტრიბუციო კომპანიების წილობრივი კომპონენტების მაღალი ხვედრითი წილი საერთო შემოსავლებში, და ეს მაშინ, როცა საქართველოს კანონში ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის შესახებ (მუხლი 1, პუნქტი მე-3) ვკითხულობთ, რომ კანონმა უნდა „უზრუნველყოს საქართველოს ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის ბაზრებისა და ტარიფების სისტემის ჩამოყალიბება და მათ საფუძველზე შექმნას სატარიფო რეგულირების სამართლებრივი ბაზა, რომელიც დაიცავს მომხმარებელს მონოპოლიური ტარიფებისგან".

ელექტროენერგიის ტარიფი საქართველოში შემოღებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) მიერ და მათივე მეთოდიკის მიხედვით იგი უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს, რომელიც წარმოიშვება ელექტროენერგიის გამომუშავებიდან მის საბოლოო მომხმარებელზე მიწოდებამდე. აღნიშნულ „კომისიას ენიჭება საქართველოს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზიების გაცემის, ასევე ლიცენზიატების,იმპორტიორების,ექსპორტიორების, სისტემის კომერციული ოპერატორისა და მიმწოდებლების საქმიანობის რეგულირების უფლება", ასევე, როგორც ავღნიშნეთ, ელექტროენერგიის ტარიფის დადგენა და რეგულირება.

აღსანიშნავია, რომ 2008 წლიდან ყველა ახლადშექმნილი ჰიდროელექტროსადგური გათავისუფლებულია სემეკის მიერ დაწესებული წარმოების ტარიფისგან და შესაძლებლობა ეძლევა ბაზარს შესთავაზოს ნებისმიერი ტარიფი, რომელიც შეთანხმებული აქვს თავის პარტნიორებთან. აქედან გამომდინარე, მოქმედებაშია შემდეგი სახის ტარიფები:

1. ელექტროენერგიის გენერირების ტარიფი:
   - ფიქსირებული ტარიფი;
   - მარგინალური ტარიფი ჰიდროელექტროსადგურებისთვის;
   - მარგინალური ტარიფი თერმოელექტროსადგურებისთვის.
2. ფიქსირებული ყოველდღიური მოცულობის საკომისიო თერმული ელექტროსადგურებისთვის.
3. ფიქსირებული ტარიფები ელექტროგადამცემებისთვის.
4. ფიქსირებული ტარიფები დისპეტჩერიზაციისთვის.
5. ფიქსირებული მარგინალური ტარიფი იმპორტისთვის.

6. ელექტროენერგიის დისტრიბუციის ტარიფები:

➢ დისტრიბუციის გადასახადი სადისტრიბუციო კომპანიებისთვის;

➢ მარგინალური ტარიფი ელექტროენერგიის ტრანზიტისთვის.

7. ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის (ესკო)მომსახურების საკომისიო.

8. საბოლოო მომხმარებლის ტარიფი:

➢ განსაზღვრული ფიქსირებული ტარიფი მოსახლეობისთვის;

➢ მარგინალური ტარიფი ვოლტაჟის მიხედვით სადისტრიბუციო კომპანიების სხვა მომხმარებლებისთვის.

რაც შეეხება ელექტროენერგიის წარმოების ტარიფს, ის ყველა მწარმოებლისთვის განსხვავებულია და არსებული ხელშეკრულების საფუძველზე იცვლება წლების მიხედვით. იმისათვის, რომ ცხადი იყოს, თუ როგორ არის წარმოდგენილი ელექტროენერგიის ტარიფში კონკრეტულ წილობრივი გადანაწილება,ქვემოთ მოგვყავს ელექტროენერგიის ზღვრული გასაყიდი ტარიფები ერთ კილოვატსაათზე, შემდეგი სახეების მიხედვით:

თბოელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგიის ტარიფები.

1. შპს „ვარციხე-2005" – 1,25 თეთრი/კვტს;

2. სს „ენგურჰესი" – 1,187 თეთრი/კვტს;

3. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (ჟინვალჰესი) – 1,83 თეთრი/კვტს;

4. სს „ენერგო-პრო ჯორჯია" (ლაჯანურჰესი) – 3,8 თეთრი/კვტს;

5. სს „ენერგო-პრო ჯორჯია" (გუმათჰესების კასკადი) – 3,64 თეთრი/კვტს;

6. სს „ენერგო-პრო ჯორჯია" (ძევრულჰესი) – 3,85 თეთრი/კვტს;

7. სს „ენერგო-პრო ჯორჯია" (რიონჰესი) – 3,5 თეთრი/კვტს;

8. სს „ენერგო-პრო ჯორჯია" (შაორჰესი) – 3,82 თეთრი/კვტს;

9. სს „ენერგო-პრო ჯორჯია" (ორთაჭალჰესი) – 2,5 თეთრი/კვტს;

10. სს „ენერგო-პრო ჯორჯია" (საცხენისიჰესი) – 2,33 თეთრი/კვტს;

11. სს „ენერგო-პრო ჯორჯია" (აწჰესი) – 3,85თეთრი/კვტს;

12. სს „ზაჰესი" – 1,42 თეთრი/კვტს;

13. შპს „აღმოსავლეთის ენერგოკორპორაცია" – 8,75 თეთრი/კვტს;

14. სს „ხრამჰესი I":

➢ 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით - 2,3 თეთრი/კვტს;

➢ 2014 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით - 8,2 თეთრი/კვტს;

➢ 2019 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით - 7,7 თეთრი/კვტს;

➢ 2022 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით - 2,3 თეთრი/კვტს;

15. სს „ხრამჰესი 2":

➢ 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით - 3,5 თეთრი/კვტს;

➢ 2014 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით - 9,4 თეთრი/კვტს;

➢ 2019 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით - 8,9 თეთრი/კვტს;

➢ 2022 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით - 3,5 თეთრი/კვტს;

16. სს „ვარდნილჰესების კასკადი" – 1,17 თეთრი/კვტს.

თბოელექტროსადგურების ტარიფები:

1. შპს „მტკვარი ენერგეტიკა" (თბილსრესის №9 ბლოკი) – 8,092 თეთრი/კვტს;

2. შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია (თბილსრესის №3, 4 ბლოკები) – 9,134 თეთრი/კვტს;

3. შპს „ჯიფაუერი" – 2013 იანვრიდან - 8,48 თეთრი/კვტს.

ელექტროენერგიის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ტარიფები:

1. ელექტროენერგიის გადაცემის ფიქსირებული ტარიფი:

➢ ა. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა:

➢ ა.ა. 35-110-220 კვ - 0,5 თეთრი/კვტს;

➢ ა.ბ. 6-10 კვ - 1,109 თეთრი/კვტს;

➢ ბ. სს „საქრუსენერგო" – 0,18 თეთრი/კვტს;

➢ გ. შპს „ენერგოტრანსი" – 500 კვ - 0,27 თეთრი/კვტს;

2. ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ფიქსირებული ტარიფი - შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" – 0,15 თეთრი/კვტს.

ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების ტარიფი შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორისათვის" შეადგენს 0,019 თეთრი/კვტს; ელექტროენერგიის საბოლოო მომხმარებელზე გაყიდვის ტარიფთან დაკავშირებით კი მოქმედებს სპეციალური ხელშეკრულება სახელმწიფოსა და სადისტრიბუციო კომპანიებს შორის, რომელიც გაფორმდა სს „ენერგო-პრო ჯორჯიასთან" 2017 წლამდე და სს „თელასთან" 2023 წლამდე. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამ პერიოდებამდე ტარიფები არ უნდა გადასინჯულიყო, თუმცა რეალურად ეს ხელშეკრულება დაირღვა, კერ-

ძოდ თბილისის მასშტაბით, სადაც სს „თელასი" ოპერირებს, ტარიფების გადახედვა არ უნდა მომხდარიყო 2023 წლამდე, პრაქტიკულად კი მიმდინარეობს ტარიფების დაუსაბუთებელი პერმანენტული ზრდა, რაც კიდევ უფრო ზრდის ოპერატორის მონოპოლიურ მოგებას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბაზრის გარდამავალი მოდელი გვექნება უკვე 2017 წლისთვის, როგორც ეს დაგეგმილია, ხელშეკრულების საფუძველზე, სამწუხაროდ უკვე მიღებულია სპეციალური სატარიფო პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს ტარიფის ზრდას მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის ზრდის კვალობაზე. მართალია, სატარიფო პოლიტიკა განსხვავებულია მოსახლეობისა და პირდაპირი მომხმარებლებისათვის, მაგრამ ორივე შემთხვევაში ტარიფი დამოკიდებულია მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობაზე (იზრდება რაოდენობის ზრდასთან ერთად) რაც ეწინააღმდეგება საბაზრო ეკონომიკის ფუნდამეტალურ პრინციპებს. რაც შეეხება თვით სადისტრიბუციო კომპანიების სატარიფო პოლიტიკას, იგი სამი ნაწილისგან შედგება: 1. სადისტრიბუციო გადასახდელი, 2. გატარებისა და განაწილების კომპონენტი და 3. გენერაციის გადასახდელი.

ამრიგად, ჩვენ უკვე გავეცანით ელექტროენერგიის გენერაციის ხარჯებს. ეხლა შევჩერდებით სადისტრიბუციო კომპანიების მიერ მოწოდებული ტარიფის კიდევ ერთ კომპონენტზე, კერძოდ, გატარებისა და განაწილების ხარჯებზე, რომელიც ასევე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის მიერ არის დადგენილი და სადაც ნათლად ჩანს-სადისტრიბუციო კომპანიების საკმაოდ დიდი ხვედრითი წილი ამ მომსახურებაში, რომელიც ხშირად ელექტროენერგიის გენერაციის ხარჯებსაც კი აჭარბებს. კერძოდ ეს ტარიფები ასე დიფერენცირდებაძაბვების მიხედვით, 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით:

1. გატარების ზღვრული ტარიფები:

სს „თელასის" მიერ ელექტროენერგიის გატარების ზღვრული ტარიფები:

ა) შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისთვის", შპს „თბილისის მეტროპოლიტენისთვის", შპს „თბილგანათებისთვის" და კვალიფიციური საწარმოებისათვის

ა.ა) 35-100 კილოვოლტი - 1,275 თეთრი/კვტს;

ა.ბ) 6-10 კილოვოლტი - 2,59 თეთრი/კვტს;

ა.გ) 0,4 კილოვოლტი - 3,6 თეთრი/კვტს;

ბ) სს „ენერგო-პრო ჯორჯიასათვის"

ბ.ა) 35-100 კილოვოლტი - 0,206 თეთრ/კვტს;

ბ.ბ) 6-10 კილოვოლტი - 0,580 თეთრი/კვტს;

ბ.გ) 210/380 ვოლტი - 1,320 თეთრი/კვტს.

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" მიერ ელექტროენერგიის გატარების ზღვრული ტარიფები:

ა) სს „თელასისთვის"

ა.ა) 35-100 კილოვოლტი - 0,206 თეთრი/კვტს;

ა.ბ) 6-10 კილოვოლტი - 0,580 თეთრი/კვტს;

ა.გ) 220/380 კილოვოლტი - 1,320 თეთრი/კვტს;

ბ)კვალიფიციური საწარმოებისათვის

ბ.ა) 35-110 კილოვოლტი - 1,275 თეთრ/კვტს;

ბ.ბ) 6-10 კილოვოლტი - 2,59 თეთრი/კვტს;

ბ.გ) 0,4 კილოვოლტი - 3,6 თეთრი/კვტს.

2.განაწილების ზღვრული ტარიფები:

სს „თელასის" ელექტროენერგიის განაწილების ზღვრული ტარიფები

ა) 220/380 ვოლტი (არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელისათვის) – 8,08 თეთრი/კვტს;

ბ) 220/380 ვოლტი (არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელისათვის საშუალოდ) – 6,855 თეთრი/კვტს;

გ) 6-10 კილოვოლტი - 7,138 თეთრი/კვტს;

დ) 35-110 კილოვოლტი - 1,8 თეთრ/კვტს.

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" ელექტროენერგიის განაწილების ზღვრული ტარიფები

ა) 220/380 ვოლტი (არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელისათვის) – 8,08 თეთრი/კვტს;

ბ) 220/380 ვოლტი (არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელისათვის საშუალოდ) – 5,036 თეთრი/კვტს;

გ) 6-10 კილოვოლტი - 4,488 თეთრი/კვტს;

დ) 35-110 კილოვოლტი - 2,794 თეთრ/კვტს.

3.საბოლოო სამომხმარებლო ზღვრული ტარიფები(დღგ ჩათვლით)კი შეადგენს:

1. საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის:

ა) 101 კვტსთ-ის ჩათვლით - 12,95404 თეთრი/კვტს;

ბ) 101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ცათვლით - 16,93064 თეთრი/კვტს;

გ) 301 კვტსთ-დან და მეტი - 21,45004 თეთრი/კვტს.

2. გარდა საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისა:

ა) 220/380 ვოლტი, საშუალო-19,79568 თეთრი/კვტს;

ბ) 6-10 კილოვოლტი-14,18832 თეთრი/კვტს;

გ) 35-110 კილოვოლტი-13,57118 თეთრი/კვტს.

სადისტრიბუციო კომპანიების მოგების მარჟა სამივე ამ შემადგენელის მიხედვით საკმაოდ მაღალია, რაც საქართველოს ენერგეტიკაში არსებული სიტუაციით არის განპირობებული. კერძოდ, ბაზარზე ფუნქციონირებს მხოლოდ სამი

სადისტრიბუციო კომპანია, რომელთაც ბაზარი სრულად აქვთ ათვისებული და გადანაწილებული და ფაქტიურად შეუძლებელია ამ ბაზარზე ახალი მოთამაშის შემოსვლა, რაც სამწუხაროდ ხელს უშლის ქვეყნისათვის ამ უმნიშვნელოვანეს სფეროშიკონკურენციის აუცილებელ გაძლიერებას.ყველაფერ ამას კი მივყევართ იქითკენ, რომ საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზარი მეტად კონცენტრირებულია. (რაზედაც უფრო დეტალურად ზემოთ გვექნება საუბარი)

აქედან გამომდინარე გადაუდებლად აუცილებელია სადისტრიბუციო კომპანიების არსებული სტრუქტურის ძირეული ცვლილება, წინააღმდეგ შემთხვევაში თავს ვერ დავაღწევთ ქვეყნის ეგერგეტიკულ ბაზარზე არსებულ შემდეგ ნეგატიურ პროცესებს :

1. მუდმივად იქნება შენარჩუნებული ტარიფში სადისტრიბუციო კომპანიების მოგების მაღალი მარჟა და სატარიფო პოლიტიკაში რაიმე მნიშვნელოვანი ცლვილების შეტანა მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებით თითქმის შეუძლებელი იქნება.

2. ენერგოგენერატორების, გადაცემის ხაზებისა და დისპეტჩერიზაციის სისტემების სიმცირის გამო, საქართველო კვლავ ნაკლებად მიმზიდველი ქვეყნების რიგში დარჩება საერთაშორისო ინვესტორებისათვის.

კონკურენტულ ბაზარზე გადასვლის აუცილებელი წინაპირობა სწორედ ის არის, რომ უნდა გაიზარდოს ენერგოგენერაცია, შეიქმნას საკმარისი სიმძლავრეები, ელექტროენერგიაზე მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად და სადისტრიბუციო ქსელის ყოველმხრივ განვითარებისათვის. ამ აქტივობების განხორციელების შემთხვევაში მივიღებთ სწორედ ქვეყანაში მეტ სადისტრიბუციო კომპანიას, რაც ტარიფების თანდათანობითი დაწევის შესაძლებლობას მოგცვემს.

3. გაგრძელდება პროდუქციის თვითღირებულებაში ელექტროენერგიის ხარჯის მაჩვენებელის და, შესაბამისად, პროდუქციის სარეალიზაციო ფასის ზრდა, რამდენადაცბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა პირდაპირი მომხმარებლების რაოდენობა. მათ მასობრივად დადეს ხელშეკრულება სადისტრიბუციო კომპანიებთან და მათი მუდმივი მომხმარებლები გახდნენ გრძელვადიანი ხელშეკრულებების მეშვეობით,

ერთი შეხედვითთითქოს არაფერია იმაში ცუდი, თუ მსხვილი ინდუსტრიული საწარმოები პირდაპირი მომხმარებლების ნაცვლად გახდებიან სადისტრიბუციო კომპანიების მომხმარებლები, სწორედ გაუმართავმა ელექტროენერგეტიკის სისტემამ გახადა სადისტრიბუციო კომპანიები მათთვის უფრო მომხიბვლელი პარტნიორები, კონკრეტულად კიშემდეგი ორი გარემოების გამო: 1. ტარიფის სტაბილურობის უზრუნველყოფა (ფასი არ არის დამოკიდებული სეზონურობაზე) და ყველა რისკი (მაგალითად, ელექტროენერგიის შეფერხებით მიწოდების შემთხვევაში), რამაც შეიძლება წარმოების პარალიზება გამოიწვიოს, პირდაპირი მომხმარებლის შემთხვევაში, გადატანილია სადისტრიბუციო კომპანიაზე, რაც განსაზღვრავს მომავალში მათ სატარიფო პოლიტიკას, შედარებით სტაბილურ ტარიფს და, შესაბამისად, უზრუნველყოფს ამ ნაწილში ბიზნესის სტაბილურობას, 2. თანხის დაზოგვა: ტარიფი, რომელსაც გვთავაზობს სადისტრიბუციო კომპანია (რომელიც მოიცავს ყველა ხარჯს), ბევრად ნაკლები უნდა იყოს იმ ტარიფზე, რასაც ისინი იხდიან ელექტროენერგიის ბითუმად შეძენისას.და როცა სადისტრიბუციო კომპანიის ტარიფებიც მაღალია და სიტემატიურად იზრდება მომხმარებელთა პრობლემა სწორედ ამაში მდგომარეობს.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის ბოლოს მხოლოდ რამდენიმე კომპანია დარჩა, რომლებიც სადისტრიბუციო კომპანიების გვერდის ავლით ახორციელებენ ელექტროენერგიის შეძენას მწარმოებლებიდან. ეს კომპანიებია:

- თბილისის მუნიციპალიტეტის - შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია”
- თბილისის მუნიციპალიტეტი - შპს „სინათლის ქალაქი”;
- შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი”;
- შპს „რუსთავის წყალი”;
- შპს „ჯორჯიან მანგანეზი”;
- შპს „ჯეოფერომეტალი”;
- შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია”;
- სს „საქართველოს რკინიგზა” (ნაწილობრივ).

ამასთან ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ შპს „ჯორჯიან მანგანეზს”, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს”; შპს „რუსთავის წყლის” და შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციას” გააჩნიათ ელექტროენერგიის გენერირების საკუთარი რესურსები, რომლებიც მათ მოთხოვნას ელექტროენერგიაში სრულად ან ნაწილობრივ აკმაყოფილებენ. თბილისის მუნიციპალურ კომპანიებს კი პირდაპირი კონტრაქტი აქვთ შპს „ენგურჰესთან”, საიდანაც ხდება უმეტესწილად მათი ენერგიით მომარაგება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სადისტრიბუციო კომპანიების მაღალი ტარიფები უარყოფითად აისახება ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის

თვითღირებულებაზე, რის გამოც ხშირად ის კონკურენციას ვერ უწევს იმპორტირებულ ანალოგებს. ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, კი როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზარზე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა და აქედან გამომდინარე წარმოადგენს ქვეყნის ელექტროენერგეტიკის დარგის განვითარების ძირითად პრიორიტეტს.

პარადოქსია, მაგრამ საქართველო, შეიძლება ითქვას, ერთადერთი ის გამონაკლისი ქვეყანაა, სადაც საწარმოები ელექტროენერგიის შეძენას სადისტრიბუციო კომპანიებისგან ანიჭებენ უპირატესობას, მიუხედავად მათიმონოპოლიური მდგომარეობისა რამდენადაც, ამ პირობებშიც კი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ის უფრო იაფი უჯდებათ, ვიდრე, მისი მიღება უშუალოდ ენერგომწარმოებლებისგან.

ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მართალია იშვიათად, მაგრამ, მაინც შეიძლება წარმოიშვას სიტუაცია, როდესაც ენერგოგენერატორი სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ვერ ახერხებს ელექტროენერგიის მიწოდებას საწარმოსათვის, რა დროსაც, ასევე იძულებული არიან ისინი შეიძინონ ელექტროენერგია სადისტრიბუციო კომპანიისგან იმაზე მაღალ ფასად, ვიდრე ამას კონტრაქტის შემთხვევაში მოახერხებდნენ.

შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი კონკურენტული სადისტრიბუციო ბაზრის ფორმირებაშია. კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც ენერგოგენერატორი, სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო, ვერ მოახერხებს ელექტროენერგიის მიწოდებას პირდაპირ მომხმარებელზე, ეს უკანასკნელი მიმართავს კლირინგულ სახლს, აკეთებს განაცხადს ელექტროენერგიის საჭიროებასთან დაკავშირებით და არსებული ტარიფით აუქციონის პირობებში ყიდულობს ელექტროენერგიას ფასით, რაც სავარაუდოდ, არ იქნება სადისტრიბუციო კომპანიების მიერ შეთავაზებულ ტარიფზე მაღალი და, საბოლოო ჯამში, პროდუქციის თვითღირებულებაში შემცირდება ელექტროენერგიის კომპონენტი, რაც შესაბამისად, შეამცირებს პროდუქციის სარეალიზაციო ფასსაც.

კიდევ ერთი პოტენციური პრობლემა, რაც ვლინდება მონოპოლიური, მაღალკონცენტრირებული სადისტრიბუციო ქსელის პირობებში ეს არის სადისტრიბუციო კომპანიების სრული მონოპოლია ახალ მომხმარებლებზე, რასაც ხელი შეუწყო კანონმდებლობაში უკანასკნელ წლებში შეტანილმა ცვლილებებმაც. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ არსებულ სადისტრიბუციო ქსელზე მიერთების სურვილის შემთხვევაში ყველა ახალი მომხმარებელი იძულებულია კერძო ენერგოკომპანიების გვერდის ავლით, ისარგებლოს სადისტრიბუციო კომპანიების მომსახურებით. ეს ვითარება საშუალო და მცირე ზომის ენერგოკომპანიებს ახალ მომხმარებელზე წვდომას უკარგავს და, როგორც ადრე, ეს კომპანიები რჩებიან სს „თელასის" კეთილ ნებაზე დამოკიდებული, რათა მიიღონ „ახალი მომხმარებლების" მომსახურების უფლება.

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ფუნქციონირების ძირითადი მიზანი ელექტროენერგიის წარმოებასა და მის ყიდვა-გაყიდვაში გამოიხატება. 2013 წელს საქართველოში მთლიანად წარმოებული იყო 36213,4 ტერაჯოული ელექტროენერგია (ცხრილი 1). აქედან 6437,1 ტერაჯოული წარმოებულ იქნა თბოელექტროსადგურებში, ხოლო 29776,3 ტერაჯოული ჰიდროელექტრო სადგურებში.

დღეისათვის საქართველოს ელექტრობაზარზე ფუნქციონირებს ელექტროგენერაციის 48 სუბიექტი ისინი გამოიმუშავებენ და ელექტრობაზარზე ყიდიან ელექტროენერგიას. ცხრილი 2 გვიჩვენებს, რომ 2003 წლის 31 აგვისტოდან 2004 წლის 1 სექტემბრამდე, ე. ი. ერთი წლის განმავლობაში, მათ გამოიმუშავეს და ელექტრობაზრის მეშვეობით გაყიდეს 6965967648 კვტსთ ელექტროენერგია. ელექტროენერგიის ამ საერთო მოწოდებაში 43% ეკავა "ენგურჰესს", 10% "ვარციხეჰესს",

ცხრილი 1

საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბალანსი (ტერაჯოული)[1]

	2013 წესი
წარმოება - სულ მათ შორის:	36213,4
თბოელექტროსადგურები	6437,1
ჰიდროელექტროსადგურები	29776,3
თბური სადგურები	-

[1] *საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მონაცემები.*

საქართველოს ელექტრობაზრის წევრი გენერაციის ობიექტების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია 01.01.2015 – 01.01.2016 წლების პერიოდში[2]

№	ობიექტის დასახელება	სიმძლავრე მვტ	გამომუშავება კვტ.სთ	ხვედრითი წილი (%)
1	შპს "მტკვარი ენერგეტიკა"	600	668934503	9,6
2	სს "თბილსრესი"	950	0	-
3	სს "თბილელექტროცენტრალი"	18	0	-
4	შპს "აწვესი"	16	50415187	0,7
5	შპს "ბჟუჟაჰესი"	12,24	53679528	0,8
6	შპს "ხრამჰესი 2"	21	105278431	1,5
7	შპს Dasbashesi	1,26	6231100	0,1
8	"ენგურჰესი"	1300	3005368769	43,0
9	სს "ლაჯანურჰესი"	41,84	168178820	2,4
10	სს "გუმათჰესი"	66,8	204907496	6,0
11	შპს "ჟინვალჰესი"	130	44873954	2,9
12	სს "ჩალაჰესი"		4487000	0,1
13	შპს "ანგლო-მესხეთი"	2,08	0	-
14	შპს "მუნლეიკ-ჯორჯია"		11316175	0,1
15	შპს "ორთაჭალჰესი"	18	90099160	1,3
16	სს "რიონჰესი"	48	287913674	4,1
17	შპს "რიცეულჰესი"	6056	23810167	0,3
18	შპს "საცხენჰესი"	14	37123044	0,5
19	შპს "სიონჰესი"	9,14	33251948	0,5
20	სს "შაორჰესი"	38,4	118447070	1,7
21	სს "ვარციხეჰესი"	184	728653200	10,5
22	შპს "ვარდნულჰესების" კასკადი	340	341032148	5,0
23	სს "ხრამჰესი 1"	113,45	231734141	3,3
24	შპს "ზაჰესი"	36,8	192315598	2,7
25	სს "მევრულჰესი"		131999288	2,0
26	სს "ჩხორჰესი"	5,35	2949753	0,04
27	შპს "სქურჰესი"	1,032	1615660	0,02
28	შპს "აბჰეს-ელექტრო"	2,008	2227447	0,03
29	შპს "კურზუჰესი"		0	-
30	შპს "აჭარჰესი"	1,028	0	-
31	შპს "კინკიშაჰესი"		0	-
32	შპს "მაჭახელჰესი"	1,6	0	-
33	შპს "მისაქცეილჰესი"	3	1417490	0,03
34	სს "მისაქცეილჰესი"	13,6	26502024	0,4
35	შპს "ყაზბეგჰესი"	0,3	0	-
36	შპს "ხერთვისი"	0,304	826960	0,01
37	შპს "მექვენაჰესი"	0,12	0	-
38	შპს "ვატ-ლთდ (კეხვიჰესი)"	0	0	-
39	შპს "სანალიაჰესი"	0	0	-
40	შპს "სინათლე (იგოეთჰესი)"	1,95	0	-
41	შპს "სურამელაჰესი"	0	0	-
42	შპს "რუსთავჰესი"	0	0	-
43	შპს "ზვარეთიჰესი"	0,304		
44	"ინწობაჰესი"	11	1704000	0,02
45	"მაშვერაჰესი"	9	503968	0,007
46	"მცირე ენრრგოკომპანია"	10,17	18169945	0,3
სულ			6965967648	100,0

[2] *ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ საქართველოს ელექტრობაზრის მონაცემების საფუძველზე.*

9,6% შპს "მტკვარი-ენერგეტიკას", 6% სს "გუმათჰესს", 5% შპს "ვარდნილჰესების კასკადს" და 4,1% სს "რიონჰესს". დანარჩენი 42 სუბიექტის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია მთლიანი გამომუშავების მხოლოდ 22,3%-ს შეადგენს, ანუ ერთ სუბიექტზე საშუალოდ მოდის გამომუშავების მხოლოდ 0,53%

საქართველოს ელექტრობაზარი აერთიანებს 6 გამანაწილებელ კომპანიას და 39 პირდაპირ მომხმარებელს, საანალიზოდ აღებულ პერიოდში (2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 იანვრამდე) ელექტრობაზარმა გაყიდა 6348167537 კვტ/სთ ელექტროენერგია. ბაზრის მეშვეობით გაყიდულ ელექტროენერგიის საერთო რაოდენობაში განმანაწილებელ კომპანიებს 69,3% უკავიათ, პირდაპირ მომხმარებლებს კი - 30,7%.

საქართველოს ელექტრობაზარი მაღალკონცენტრირებულია. ამას მოწმობენ ჩვენს მიერ გამოთვლილი მაჩვენებლები. კერძოდ, კოცენტრაციის კოეფიციენტი (CR) da herfindal-hirSmanis indeqsi (HHI).

კონცენტრაცის კოეფიციენტი გამთვლილი იქნა 6 მსხვილი ენერგოკომპანიისთვის (ენგურჰესის, ვარციხეჰესის, მტკვარ-ენერგეტიკის, გუმათჰესის, ვარდნილჰესების კასკადის და რიონჰესის), რომელთაც დომინირებული მდგომარეობა უკავიათ ბაზარზე. ამ კოეფიციენტმა შეადგინა 77,7%.

$$CR_6 = \sum_{i=1}^{6} K_1 + K_2 + K_3 + K_4 + K_5 + K_6 = 43 + 10 + 9.6 + 6 + 5 + 4.1 = 77.7\%$$

ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI) ახასიათებს საბაზრო ძალაუფლების განაწილებას ბაზრის სუბიექტებს შორის. ცნობილია, რომ თუ HHI < 1000-ზე მაშინ ბაზარი ნაკლებკონცენტრირებულია, თუ იგი მეტია 1000-ზე, ხოლო ნაკლებია 1800-ზე, მაშინ ზომიერად კონცენტრირებულია, ხოლო თუ HHI > 1800-ზე, მაშინ ბაზარი მაღალკონცენტრირებულია და სუბიექტების შეერთება იკრძალება.

საქართველოს ელექტრობაზრის მაგალითზე 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი ტოლია:

$$HHI = \sum_{i=1}^{n} K_1^2 + K_2^2 + K_3^2 + \ldots K_n^2 = 9.6^2 + 0.7^2 + 0.8^2 + 1.5^2 + 0.1^2 + 43^2 + 2.4^2 + 60^2 +$$
$$+ 2.9^2 + 0.1^2 + 0.1^2 + 1.3^2 + 4.1^2 + 0.3^2 + 0.5^2 + 0.5^2 + 1.7^2 + 10.5^2 + 5^2 + 3.3^2 + 2.7^2 +$$
$$+ 2.0^2 + 0.04^2 + 0.02^2 + 0.03^2 + 0.03^2 + 0.4^2 + 0.01^2 + 0.02^2 + 0.007_2 + 0.3^2 = 92.16 +$$
$$+ 0.49 + 0.64 + 2.25 + 0.01 + 1849 + 5.76 + 8.41 + 36 + 0.01 + 0.01 + 1.69 + 16.81 + 0.09 +$$
$$+ 0.25 + 0.25 + 2.89 + 110.25 + 25 + 10.89 + 7.29 + 4 + 0.001 + 0.0001 + 0.0009 + 0.009 +$$
$$+ 0.16 + 0.001 + 0.0004 + 0.00004 + 0.09 = 2176{,}73$$

მაშასადამე, რადგან 2176,73 > 1800-ზე, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ელექტრობაზარი მაღალკონცენტრირებულია, მონოპოლიზებულიადა აუცილებელია ქმედითი ღონისძიებების განხორციელება მისი დეკონცენტრაციის მიზნით, რაც საქართველოს მთავრობის განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა გახდეს.

დასკვნა

ამრიგად, წინამდებარე სტატიაში ჩვენ განვიხილეთ საქართველოს ელექტოენერგეტიკის დარგში ელექტროენერგიის წარმოების, განაწილების და მოხმარების ერთ-ერთი ისეთი, მეტად აქტუალური საკითხი, როგორიც არის სამომხმარებლო ტარიფები ელექტროენერგიაზე და მათი ოპტიმიზაციის შესაძლებლობები. ამ მიზნით გავაანალიზეთ სადისტრიბუციო კომპანიების არსებული სტრუქტურა, მივუთითეთ ელექტროენერგიის ბაზრის კონცენტრაციის მაღალ დონეზე, რაც განაპირობებს დღეს მოქმედ მაღალ სამომხმარებლო ტარიფებს, მასში ამ კომპანიების დანახარჯების მაღალ ხვედრით წილიდან გამომდინარე, და, შესაბამისად დავაყენეთ საკითხი მათი სტრუქტურის აუცილებელიცვლილების შესახებ, საბოლოო ჯამში კონკურენტული სადისტრიბუციო ბაზრის ფორმირების უზრუნველსაყოფად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვალუტის გაუფასურების მოტივით 2015 წელს მოსახლეობას ელექტროენერგია იმაზე მეტად გაუძვირდა ვიდრე 2013 წლამდე იყო (რეგიონებში ტარიფი გაიზარდა 3,95 თეთრით) თუმცა, შემდგომ, ვალუტის კურსის კლების მიუხედავად ეს მაღალი ტარიფები არ შემცირებულა. რაც შეეხება „თელასის" აბონენტებს, ყველაზე მძიმე დღეში მესამე კატეგორიის (301 კვ/სთ) მომხმარებლები აღმოჩნდნენ და მათვის ელექტოენერგიის საფასური, როგორც უკვე ავღნიშნეთ 21.65 თეთრი გახდა. ამ კატეგორიას, კი ძირითადად, მცირე და საშუალო ბიზნესი მიეკუთვნება (რომ არაფერი ვთქვათ მოსახლეობის უდიდეს ნაწილზე), რომლებიც არსებულ რეალობაში ისედაც არახელსაყრელ ვითარებაში იმყოფება და კონკურენტუუნარო ხდება.

მნიშვნელოვანი საკითხი რაზედაც გავამახვილეთ აგრეთვე ყურადღება, ეს არის ელექტოენერგიის ტარიფის მისი მოხმარების რაოდენობასთან მიბმის საკითხი. მოგვაჩნია, რომ ელეტროენერგიის მოხმარების რაოდენობის ზრდასთან ერთად ტარიფი კი არ უნდა იზრდებოდეს, არამედ საბაზრო ეკონომიკის კანონებიდან გამომდინარე მცირდებოდეს, რათა გაიზარდოს ელექტროენერგიის რეალიზაცია და შესაბამისად გათვალისწინებული იქნეს, როგორც მწარმოებლის (მოგების მიღების თვალსაზრისით) ასევე მომხმარებლის ინტერესები. ასევე გადასახედია, ელექტროენერგიის საფასურის დარიცხვისა და ამოღების ამჟამად მოქმედი წესი, რამდენადაც არსებობს 101 და 301 კილოვატზე ზევით ელექტროენერგიის მოხმარების წინასწარ განზრახული სუბიექტური შეხედულებიდან გამომდინარე დაფიქსირების რისკი, მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ. ეს რისკი კი დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით დადგენილი ტარიფები არაგამჭოლია, მომხმარებელი ელექტროენერგიის საფასურს იხდის 30 კალენდარულ დღეში მოხმარებული ელექტროენერგიის სრულ რაოდენობაზე იმ ტარიფით, რომელიც დაწესებულია მოხმარებული ელექტროენერგიის შესაბამის რაოდენობაზე (საფეხურზე).

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ".
2. ჩომახიძე ლ., საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება, თბ., შპს „პდპ", 2003.
3. ერისთავი ე.,ჩომახიძე დ., ცინცაძე პ., ენერგეტიკის რეგულირების საფუძვლები, წიგნი 1, თბ., 2000.
4. Регулирование тарифов на электроэнергию и тепло, М., 2003.
5. კვირკაია მ., კიკუტაძე ვ., სიხარულიძე დ.,ენერგეტიკის ბიზნესი, თბ., 2011.
6. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მასალები.
7. ელექტროენერგიის ტარიფების მეთოდოლოგია, დადგენის წესები და პროცედურები, ჟ.: „ენერგია", №3, 1998.
8. ინტერნეტ-რესურსები

ТАРИФЫ ЭЛЕКТРОЕНЕРГИИ В ГРУЗИИ - ТЕКУЩАЯ РЕАЛЬНОСТЬ И ПРОБЛЕМЫ

НОДАР ЦАНАВА
Профессор ГТУ
E-mail: nodaritsanava@gmail.com
ДЖУСТАН БОКУЧАВА
Докторант ГТУ

РЕЗЮМЕ

Тарифы на электроэнергию являются одными из важнейшими компонентами потребительского рынка Грузии, от которых во многом зависит как повышение жизненого уровня населения, так и обеспечение ускоренного экономического роста в целом страны .

К сожалению надо сказать, что действующие на сегоднящий день в Грузии высокие тарифы на электроэнергию, не способствуют достижению этих целей. В статии проанализированы причины обусловливающие сушествуюшую нежелательную ситуацию на электроэнергетическом рынке Грузии, в частности монополное положение структур осушествлияющих дистрибуцию электроэнергии и предложены конкретные меропрыятия для формырования конкурентного электроэнергетического рынка и соответственно разработки и осущуствления оптимальной тарифной политики.